ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/დ165-25
"04" 02. 2025 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-451/24-2
(მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების
ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე)

04.02.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზურაბ მამსიკაშვილმა განვიხილე **შპს „მპ დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ 404960217; მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №74ბ, (ი. ჭავჭავაძის გამზ., საბაგირო გზის ქვედა სადგურის მიმდებარე)) მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2024 წლის 20 ნოემბერს მიღებული №4-1/დ2082-24 №შ-451/24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2024 წლის 20 ნოემბერს მიღებული №4-1/დ2082-24 №შ-451/24 დადგენილებით, შეჩერებულ იქნა, ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა, №42, №01.11.10.012.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 4 თებერვალს მიღებული №4-1/დ164-25 №005012 დადგენილებით, შპს „მპ დეველოპმენტი"-ს მიერ საქმის წარმოება შეწყდა, ვინაიდან დღეის მდგომარეობით, ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა, №42, №01.11.10.012.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, უნებართვოდ მოწყობილი ლითონის კონსტრუქცია დემონტირებულია და განხორციელდა ობიექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 აგვისტოს №5067545, №5066505 და №5065619 გადაწყვეტილებებთან დადასტურებულ მოთხოვნებთან/ფოტომონტაჟთან შესაბამისობაში მოყვანა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის, 2025 წლის 4 თებერვლის, მოხსენებითი ბარათით, დგინდება, რომ არსებული ერთი შენობა დაყოფილია სამ ობიექტად, დემონტირებულია კონდიციონერის აგრეგატი, კაპიტალური საფეხური და მიწისქვეშა ბეტონის კონსტრუქციის ნაგებობა შეცვლებულია კაპიტალური ფილით. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად დასტურდება, რომ აღმოფხვრილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული მშენებლობის შეჩერების საფუძვლები, ამასთანავე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს".

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-თ, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლით, და

დავადგინე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, შპს **„მპ დეველოპმენტი"-ს** მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 20 ნოემბერს მიღებული №4-1/დ2082-24 №შ-451/24 დადგენილება;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზურაბ მამსიკაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ე 167-25
"04" 02. 2025 წ.

დადგენილება №004864
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

04.02.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2024 წლის 24 დეკემბრის №004864 მითითება და 2025 წლის 15 იანვრის №004864 შემოწმების აქტი, შედგენილი **შპს „მპ დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ 404960217; მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №74ბ, (ი. ჭავჭავაძის გამზ., საბაგირო გზის ქვედა სადგურის მიმდებარე)) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა, №42, №01.11.10.012.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დარღვეულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 აგვისტოს №5067545, №5066505 და №5065619 გადაწყვეტილებებით შეთანხმებული ფოტომონტაჟები, კერძოდ სამი პირველი კლასის შენობის ნაცვლად მოწყობილია შენობა-ნაგებობა, რომელიც გაცდა პირველი კლასის მახასიათებლებს.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2024 წლის 24 დეკემბერს, შედგა №004864 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა, შესაბამისი

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან/და ობიექტი მოიყვანოთ №5067545, №5066505 და №5065619 გადაწყვეტილებებით შეთანხმებულ ფოტომონტაჟებთან შესაბამისობაში ან უსაფრთხოების წესების დაცვით, ობიექტის დემონტაჟის განსახორციელებლად.

2025 წლის 15 იანვარს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №004864 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. კერძოდ ერთი შენობა დაყოფილია სამ ობიექტად, ხოლო სხვა დარღვევები არ არის გამოსწორებული.

2025 წლის 27 იანვარს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე გამოცხადდა შპს „მპ დეველოპმენტი"-ს წარმომადგენლები – მოქ. სოფია გიგანი (პ/ნ 62005024992; მინდობილობა №241703630 26.12.2024წ.) და მოქ. პაპუნა კაციტაძე (პ/ნ 01024060998; მინდობილობა №230457791 10.04.2023წ.), რომლებმაც დაადატურეს მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარეებმა აღნიშნეს, რომ დღეის მდგომარეობით დარღვევები გამოსწორებულია, კერძოდ ობიექტი მოყვანილია ფოტომონტაჟებთან შესაბამისობაში და ითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა. ასევე წარმოადგინეს ფოტოსურათი ორ ფურცლად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის, 2025 წლის 4 თებერვალს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შპს „მპ დეველოპმენტი"-ს მიერ, შესრულდა მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 24 დეკემბრის №004864 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ, ობიექტი მოყვანილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 აგვისტოს №5067545, №5066505 და №5065619 გადაწყვეტილებებთან დადასტურებულ მოთხოვნებთან/ფოტომონტაჟთან შესაბამისობაში. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შპს „მპ დეველოპმენტი"-ს მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა, №42, №01.11.10.012.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა ობიექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 აგვისტოს №5067545, №5066505 და №5065619 გადაწყვეტილებებთან დადასტურებულ მოთხოვნებთან/ფოტომონტაჟთან შესაბამისობაში მოყვანა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება **შპს „მპ დეველოპმენტი"-ს** მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/3164-25
"04" 02. 2025 წ.

დადგენილება №005012
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

04.02.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფელმა, განვიხილე 2024 წლის 24 დეკემბრის №005012 მითითება და 2025 წლის 20 იანვრის №005012 შემოწმების აქტი, შედგენილი შპს **„მპ დეველოპმენტი"-ს** (ს/ნ 404960217; მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №74ბ, (ი. ჭავჭავაძის გამზ., საბაგირო გზის ქვედა სადგურის მიმდებარე)) მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა, №42, №01.11.10.012.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2024 წლის 24 დეკემბერს, შედგა №005012 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან უსაფრთხოების წესების დაცვით, ობიექტის დემონტაჟის განსახორციელებლად.

2025 წლის 20 იანვარს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501. 2 378 396

124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა №005012 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2025 წლის 27 იანვარს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე გამოცხადდა შპს „მპ დეველოპმენტი"-ს წარმომადგენლები – მოქ. სოფია გიგანი (პ/ნ 62005024992; მინდობილობა №241703630 26.12.2024წ.) და მოქ. პაპუნა კაციტაძე (პ/ნ 01024060998; მინდობილობა №230457791 10.04.2023წ.), რომლებმაც დაადატურეს მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარეებმა აღნიშნეს, რომ დღეის მდგომარეობით უნებართვოდ მოწყობილი ლითონის კონსტრუქცია დემონტირებულია და ითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა. ასევე წარმოადგინეს ფოტოსურათი ორ ფურცლად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის, 2025 წლის 4 თებერვალს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შპს „მპ დეველოპმენტი"-ს მიერ, შესრულდა მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 24 დეკემბრის №005012 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. კერძოდ განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შპს „მპ დეველოპმენტი"-ს მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა, №42, №01.11.10.012.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება **შპს „მპ დეველოპმენტი"-ს** მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი